

**ინფორმაცია**  
**საქართველოს კონტროლის პალატის წარმომადგენელთა**  
**ქ. მაიამიში (აშშ) გამართული საერთაშორისო**  
**კონსორციუმის 24-ე საერთაშორისო კონფერენციის**  
**მუშაობაში მონაწილეობის შესახებ**

საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა ჯგუფმა, რომელსაც პალატის თავმჯდომარის მოადგილე დევი ვეფხვაძე ხელმძღვანელობდა, მონაწილეობა მიიღო 2010 წლის 17-21 მაისს, აშშ-ის ქ. მაიამიში გამართულ საჯარო ფინანსების მართვის საერთაშორისო კონსორციუმის 24-ე საერთაშორისო კონფერენციაში. აღნიშნული კონსორციუმის მიზანია პერიოდულად შეკრიბოს სხვადასხვა ქვეყნის საჯარო ფინანსების მმართველი წრეების წარმომადგენლები და ამ გზით ხელი შეუწყოს საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და გამოცდილების, აქტუალური საკითხებისა და ინოვაციების ურთიერთგაზიარებას.

24-ე საერთაშორისო კონფერენცია გახსნა კონსორციუმის (ICGFM-ის) პრეზიდენტმა ჯემს ებიტმა. კონფერენციის თანათავმჯდომარემ, გრანტ ტორნტონის საჯარო სექტორის განყოფილების აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ ნამმა წარმოადგინა პირველი დღის თემა, რომელიც ეძღვნებოდა გამჭირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

ზემოხსენებული თემის ფარგლებში, საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაციის წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ განვითარების ხელშეწყობის ახალ მეთოდებს, რომელიც წარმოადგინა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID-ის) ფინანსურმა ოფიცერმა დევიდ ოსტერმეიერმა. მან ისაუბრა გამჭირვალობის მნიშვნელობაზე USAID-ის მისიაში და ასევე აღნიშნა ბენეფიციარი ქვეყნების საჯარო ფინანსების მართვის ანგარიშგების სისუსტე; მან მოუწოდა დონორებს, რომ მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივი სისტემების გაუმჯობესების საქმეში. მისი აზრით, სტაბილურობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების დაფინანსება, სადაც მაღალი კორუფციაა. სამომავლოდ, სასურველია, რომ ბენეფიციარი სამინისტროს მხარდაჭერა განხორციელდეს პირდაპირი ხაზით, ნაცვლად საბიუჯეტო მხარდაჭერისა.

გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების თემაზე საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაციის წევრებმა მოისმინეს პრეზენტაციები სოციალური კონტროლის მექანიზმების შესახებ, რომლებიც წარმოადგინეს:

- გემა არაგონესმა, USAID/MCC-ის პარაგვაის ანტიკორუფციული პროექტის ხელმძღვანელის მოადგილემ,
- ედუარდო ფლორესმა, USAID/MCC-ის სომხეთის ანტიკორუფციული პროექტის ხელმძღვანელის მოადგილემ,

- ვარაზდატ კარაპეტიანმა, სომხეთის გედარკუნის პროვინციის სავაჭრო და სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა.

გერა არაგონესმა ისაუბრა შიდა და გარე კონტროლის გაძლიერებასა და გამჭირვალობის გაუმჯობესებაზე პარაგვაის საჯარო ინსტიტუტებში (Casals and Associates-ის მეშვეობით პარაგვაის მთავრობამ შექმნა მოქალაქეთა კონტროლის მხარდამჭერი ოფისი).

ედუარდო ფლორესმა ისაუბრა გამჭირვალობის ინიციატივაზე სომხეთში, ეს კი დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე, დამოუკიდებელ მედიაზე, პროფესიონალურ აუდიტზე, კანონმდებლობასა და სხვა საზოგადოებრივ ფაქტორებზე. მან ისაუბრა კორუფციის შემთხვევებზე სომხეთში და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესებზე.

ვარაზდატ კარაპეტიანმა ისაუბრა კორუფციის შემთხვევებსა და რეფორმის აუცილებლობაზე სომხეთში.

გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების თემაზე საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაციის წევრებმა მოისმინეს USAID-ის წარმომადგენლის ტომ ბრიგის სახელმწიფო რისკისა და სახელმწიფო ვალის განთავსების საკითხებთან დაკავშირებული გამოსვლა. ასევე Arnold&Porter, LPP-ის ფინანსური და ვალის რესტრუქტურის საკითხებში მრჩველის მარკ სტუმპის გამოსვლა, რომელმაც ისაუბრა საკუთარ გამოცდილებაზე საჯარო და კერძო სექტორის საერთაშორისო ფისკალურ ტრანზაქციებში; მან აღნიშნა, რომ მიუღებელია არსებობდეს რამდენიმე სახელმწიფო სესხის მიღები ერთ ქვეყანაში. თემა განაგრძო New state Partners, LPP-ის მმართველმა პარტნიორმა დერილ ალათმა, რომელმაც ისაუბრა სახელმწიფო ვალის ხანგრძლივობის განსაზღვრასა და გაუმჯობესებული საკრედიტო განაკვეთის მიღების შესაძლებლობაზე იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ვალს ტრადიციულად დროულად იხდიან.

გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების თემა გაგრძელდა მოხსენებით შიდა კონტროლისა და რისკის მენეჯმენტის შესახებ, რომელიც წარმოადგინა ეკვადორის გენერალურმა აუდიტორმა მარიო ანდრადემ. კონტროლის პალატის წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ რისკის მენეჯმენტის როლსა და ინფორმაციის საჯაროობის მნიშვნელობას, აგრეთვე, საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ამცირებს კორუფციას შიდა კონტროლი. მარიო ანდრადეს განცხადებით, ანგარიშვალდებულება და გამჭირვალობა ხარგრძლივი პროცესებია, სადაც მნიშვნელოვანია საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი, ტრენინგი და შესაძლებლობების შექმნა შიდა კონტროლის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. მან მოუწოდა აუდიტორებს, რომ იაქტიურონ, რათა ხელი შეუწყონ შიდა კონტროლის განვითარებას; აღნიშნა აგრეთვე, რომ თანამედროვე აუდიტი მოითხოვს აქტიურ მონაწილეობას მთლიანი რისკის მართვის გაუმჯობესებაში.

აღნიშნულ სემინარზე განხილულ თემებს შორის, საქართველოს კონტროლის პალატისთვის საყურადღებო იყო კონფერენციის მეორე დღეს წარმოდგენილი მოხსენებები, მათ შორის, საჯარო აუდიტორების მზარდი როლისა და პასუხისმგებლობების შესახებ, რომელიც წარმოადგინა ინდოელმა ბუღალტერმა რაქეშ ვერმამ. მან კონფერენციის მონაწილეებს გააცნო ტენდენცია საჯარო ფინანსების მართვაში საჯარო აუდიტორების აქტიური მონაწილეობისა და

ნდობის შესახებ; ფინანსური კრიზისის გავლენა სხვადასხვა ქვეყანაში, რამაც გამოიწვია ცვლილებები საჯარო ფინანსების მართვაში; მომხსენებელმა ასევე გაამახვილა ყურადღება საკითხებზე: საჯარო და კერძო პარტნიორობის (PPP-ის) გავლენა საჯარო ფინანსებზე, საჯარო და კერძო პარტნიორობისთვის INTOSAI-ს აუდიტის სახელმძღვანელოზე, კერძო აუდიტორების პრობლემებზე კერძო კომპანიებთან, განსხვავებით საჯარო აუდიტორებისგან, რომელთაც არ აქვთ კერძო ინტერესი აუდიტის წარმოებისას. მან აღნიშნა, რომ საჯარო სექტორში შესაბამისობის აუდიტი იცვლება ეფექტიანობის აუდიტით, თუმცა შესაბამისობის აუდიტი კვლავაც მნიშვნელოვანია, რადგან ეს ეხება იურიდიულ საკითხებს. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ კომპანიების აუდიტის აუცილებლობას, სადაც სახელმწიფო ფლობს 50%-ზე მეტს. ბატონმა ვერმამ ასევე გაამახვილა ყურადღება საჯარო აუდიტის გაფართოების შესაძლებლობაზე. აღნიშნა, აგრეთვე, რომ სახელმწიფო აუდიტის შესახებ ინფორმაცია სისტემატურად უნდა ქვეყნდებოდეს პრესაში, რაც საჯაროობის პროცესის განვითარებას შეუწყობს ხელს.

თემა, ვაჭრობაზე ფინანსური კრიზისის გავლენის შესახებ, წარმოადგინა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის საგარეო საქმეთა სასწავლებლის პროფესორის თანაშემწემ და მანჩესტერ თრეიდის პრეზიდენტმა სტეფან ლენდმა. ვინაიდან ვაჭრობა არის მსოფლიო ეკონომიკური საქმიანობის მთავარი კომპონენტი და საჯარო შემოსავლის ძირითადი ნაწილი, G20-ის ქვეყნები კონსულტაციების შედეგად შეთანხმდნენ, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი კეინზის ეკონომიკის მეშვეობით ზრდას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კრიზისი სხვადასხვაგვარად აისახა მსოფლიოში; კერძოდ, ჩინეთმა და აფრიკის ქვეყნებმა ეკონომიკური რეფორმის წყალობით თავიდან აიცილეს უარყოფითი შედეგები და მხარი დაუჭირა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას განვითარებად ქვეყნებში.

ინფორმაციული ტექნოლოგიების როლზე გამჭირვალობასა და სახელმწიფო რეფორმებში ისაუბრა ბრაზილიის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა ანა ქრისტინა ოლივიერამ. მან წარმოადგინა ბიზნეს - რეპორტინგის ახალი საშუალება - XBRL, რომელიც ხელს უწყობს ბიზნეს - ინფორმაციის მომზადებას, ანალიზსა და კომუნიკაციას; ამასთანავე, ეკონომიურია, ეფექტიანია და მისი გამოყენების შედეგად უფრო მეტად იქნება დაცული სიზუსტე და გაიზრდება სანდოობა ფინანსური ინფორმაციის მომწოდებლებისა თუ მომხმარებლების მიმართ. აღნიშნა, რომ ამ სისტემას იყენებენ ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, სინგაპურისა და ნიდერლანდების მთავრობები.

საჯარო სექტორში ტექნოლოგიების ინოვაციური გამოყენების საკითხი მიმოიხილა UNICEF-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელმა სტეფან ფრიდრაკისმა. აღნიშნა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიებში ინოვაციისთვის შესაძლებლობების შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება; და რომ შესაძლებლობების შექმნა ნიშნავს საერთაშორისო კონსულტანტებზე დამოკიდებულების შემცირებას. ინოვაცია საინფორმაციო ტექნოლოგიებში უნდა იყოს მუდმივმოქმედი და ითვალისწინებდეს მომხმარებელთა საჭიროებებს; ამასთანავე, სამთავრობო რეფორმა და ინოვაცია უნდა იყოს ერთდროული; რომ „ინოვაცია არის ცვლილების აღქმა შესაძლებლობად და არა საშიშროებად“. გამჭირვალობის მიღწევა შესაძლებელია ინოვაციის გზით.

XBRL-ის თემა წარმოადგინა IRIS Business Services-ის დირექტორთა საბჭოს წევრმა ლივ ეპნესეტ უატსონმა. მომხსენებელმა განმარტა, რომ XBRL არის ბიზნეს და ფინანსური მონაცემების კომუნიკაციის მიზნით შექმნილი ბიზნეს-რეპორტირების ენა; ეს არის ღია პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც ოპერირებას უწევს არამომგებიანი კონსორციუმი. XBRL არის უნივერსალური ბარ კოდის მსგავსი ფუნქცია მხოლოდ ფინანსური რეპორტირებისთვის, რომლის საჭიროებაც გამოწვეულია შემდეგი მოტივებით:

- ფინანსური და ბიზნეს-ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესებული, სწრაფი და იაფი საშუალება;
- ფინანსური ანგარიშების წარმოების უფრო გამჭვირვალე და ცნობადი მექანიზმი;
- ბიზნეს-მნიშვნელობების დაზუსტებული გადმოცემა და აღნიშნული მნიშვნელობების გაცვლა ადამიანებს შორის და ასევე, ბიზნეს-სისტემებს შორის;
- მონაცემთა ერთობლიობის გაუმჯობესება;
- ბიზნეს-სისტემების ერთობლიობა; სამთავრობო სააგენტოებისთვის თანხების დაზოგვა და ამგვარად მათი ეფექტიანობის გაზრდა.

ქალბატონმა უატსონმა განმარტა XBRL-ის ტაქსონომია, აგრეთვე, თუ როგორ არის შესაძლებელი წარწერების გადაყვანა სხვადასხვა ენაზე, რაც ამცირებს ანგარიშის სხვადასხვა ენაზე მომზადების ხარჯებს. აღნიშნა, რომ შესაძლებელია ბიზნესისა და სტატისტიკური ინფორმაციის კალკულაციის მეთოდების მიხედვით XBRL-ის პუნქტზე, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია იქნება ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი.

XBRL მიიღო არაერთმა მთავრობამ, რომელთა შორისაა, მაკედონიის ანგარიშის წარმოების პორტალი, საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭო, ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟის კომისია (აშშ), ფედერალური დეპოზიტების სადაზღვევო ორგანიზაცია (აშშ), ევროპის ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კომიტეტი და ნევადის შტატი (აშშ).

პრეზენტაციის შემდგომ, საქართველოს კონტროლის პალატის წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ მონაწილეობა მიეღოთ XBRL-ის ვორკშოპში, სადაც გამოიკვეთა აღნიშნული სისტემის აუცილებლობის გამომწვევი სხვადასხვა ფაქტორი.

საჯარო-კერძო პარტნიორობაზე (PPP) ფინანსური კრიზისის გავლენის თემა წარმოადგინა მსოფლიო ბანკის მთავარმა სპეციალისტმა ფილიპ დრაპაკმა. მან აღნიშნა, რომ ფინანსურმა კრიზისმა იმოქმედა ლიკვიდურობაზე, კაპიტალის განაწილებასა და პროექტების რისკიანობის შემცირებაზე. თუ კრიზისამდე რისკი კერძო სექტორს ეხებოდა, კრიზისის შემდგომ აღნიშნული რისკები გადანაწილდა საჯარო სექტორზე. მომხსენებელმა წარმოადგინა საჯარო-კერძო სექტორის პარტნიორობის მაგალითები გაერთიანებული სამეფოდან, სამხრეთ აფრიკიდან და რუსეთიდან, აღნიშნული მიმართულებით საქმიანობის ზრდაზე ბრაზილიაში, რუსეთში, ინდოეთსა და ჩინეთში. ფინანსური კრიზისის პირობებში იზრდება საჯარო-კერძო სექტორის პარტნიორობის შესაძლებლობა.

კონფერენციის ბოლო ორი დღე მიემდვნა სახელმწიფო თანხების მართვის საკითხებს, რომელიც წარმოადგინეს საერთაშორისო გამოცდილების მქონე აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის ექსპერტებმა: ლაურა თრიმბლმა, მიშელ აბლოვიჩმა, გეილ ოსტლერმა და ლაურა როსმა. გეილ ოსტლერმა ისაუბრა, თუ რა არის ნაღდი ფულის მართვა, ორგანიზაცია და კომუნიკაცია, საერთო სახაზინო ანგარიში და საბანკო ურთიერთობები. ლაურა როსმა მიმოიხილა ვალისა და საინვესტიციო პოლიტიკის თემა, ხოლო მაიკ აბლოვიჩმა – ნაღდი ფულის ნაკადების პროგნოზირება და მართვა.

აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტი არის ფინანსთა სამინისტროს ფარდი (ანალოგიური) სახის ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად არის ჩართული მსოფლიოს არაერთი ქვეყნისთვის შემუშავებული ტექნიკური დახმარების საქმიანობაში.

კონფერენციის ბოლო დღეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტის მთავარმა ეკონომისტმა საილენდრა პატანიაკმა წარმოადგინა ერთიანი სახაზინო ანგარიშის (TSA-ს) კონცეფცია. აღინიშნა, რომ TSA ხელს უწყობს ნაღდი ფულისა და საჯარო ფინანსების მართვის სხვა ფუნქციებს. TSA გადახდებს მართავს ცალ-ცალკე ყველა ხარჯვითი ერთეულიდან და განსხვავებით რამდენიმე საბანკო ანგარიშისა, ბალანსს ადგენს მხოლოდ ერთ ანგარიშზე. მომხსენებელმა განმარტა, რომ TSA არ არის მხოლოდ ერთი საბანკო ანგარიში და ის შეიძლება იყოს ერთ ანგარიშში მოქცეული რამდენიმე ანგარიში. TSA არის სახელმწიფოს საბანკო ანგარიშების გაერთიანებული სტრუქტურა, რომელიც იძლევა სახელმწიფოს ფულადი რესურსების კონსოლიდირებულ გამოსახულებას. ბატონმა პატანიაკმა საჯარო სექტორის ერთეულებს მოუწოდა, რომ იყვნენ კონსოლიდირებული TSA-ში, რომელიც უნდა იყოს კანონით აღიარებული და სტაბილური. შემოსავლებისა და გასავლების ტრანზაქციები კლასიფიცირებული უნდა იყოს კარგად შედგენილი ანგარიშების დიაგრამით და არა სხვადასხვა საბანკო ანგარიშებით; რომ TSA უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, რადგან ბიუჯეტის შესრულება ხდება ეროვნულ ვალუტაში. აღინიშნა ქვეყნების მიხედვით ცვალებად თავისებურებებზე და, რომ TSA უნდა იყოს ინტეგრირებული ფინანსური მართვის საინფორმაციო სისტემის (IFMIS) ნაწილი; TSA-ს დანერგვა დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე, საკანონმდებლო მოთხოვნებსა და ტექნოლოგიური საჭიროებების ინტეგრაციაზე, ასევე, საბანკო შეთანხმებების ფორმალიზებაზე. ერთიანი ანგარიშის გვერდის ავლით, დონორების მიერ თანხების ჩარიცხვების შედეგად, იქმნება პრობლემები. აქედან გამომდინარე, იყო რეკომენდაცია, რომ აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით გაიხსნას ერთიანი სახაზინო ქვეანგარიშები.

კონფერენცია დაიხურა მსოფლიო ბანკის წარმომადგენლის ნადერეკ ჩამლოუს გამოსვლით, რომელმაც განიხილა საკითხი ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერის პირობებში გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის შესახებ. აღინიშნა, რომ განვითარების პროცესში ადამიანური რესურსი არის გადამწყვეტი და საფუძველი ინოვაციისთვის; გენდერული თანასწორობა ტალანტის მართვის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია. როგორც ეს საფრანგეთის მაგალითიდან გამოჩნდა, კომპანიებმა, სადაც მენეჯმენტში ქალები იყვნენ, კრიზისის პერიოდში აჩვენეს უკეთესი ფინანსური შედეგები.

საქართველოს კონტროლის პალატის წარმომადგენლებისთვის აღნიშნულ სემინარზე დასწრება იყო საუკეთესო საშუალება საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებული სიახლეების გასაცნობად. ამას გარდა, კონფერენციის ორგანიზატორებმა და სპონსორებმა თავის მხრივ გამოხატეს ინტერესი საქართველოში მიმდინარე განვითარების პროცესების მიმართ და კონტროლის პალატის წარმომადგენლებისგან აიღეს ინტერვიუ. მათ დადებითად შეაფასეს ის ფაქტი, რომ საქართველოს კონტროლის პალატის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულები აღნიშნული კონფერენციის მუშაობაში და გამოთქვეს იმედი, რომ ეს მონაწილეობა მომავალშიც გაგრძელდება.